სახალხო დამცველის კვლევა

თანასწორობის მექანიზმის 10 წლის საქმიანობის შეჯამება

დოკუმენტი მომზადებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე და წარმოადგენს „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“

წინასიტყვაობა 3

10 წლის სტატისტიკური ინფორმაცია 5

ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები 19

ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის დახვეწა 19

ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 20

ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში 20

ცვლილებები შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით 21

სახალხო დამცველის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და წარმატებული პრაქტიკები 21

სამართალწარმოება დისკრიმინაციის საქმეებზე 22

სასამართლო წარმოების გზით სახალხო დამცველის რეკომენდაციის აღსრულება 22

სექსუალური შევიწროების და სექსიზმის საქმეები 23

ინტერსექციური დისკრიმინაცია ქალთა თანასწორუფლებიანობის ჭრილში 25

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 27

მომსახურება როგორც კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება 30

დისკრიმინაციული ვაკანსიები 31

პლატფორმაზე დასაქმებულ პირთა დისკრიმინაცია 32

პროფესიული კავშირის წევრობა 32

პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაცია 33

ხანდაზმულ პირთა დისკრიმინაცია 34

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები პენიტენციურ დაწესებულებაში 36

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები 37

თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული აქტივობები 38

საინფორმაციო კამპანიები 41

თანასწორობის უფლება და გამოწვევები 41

თანასწორობის მექანიზმის გამოწვევები 45

შეჯამება 45

წინასიტყვაობა

2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების შედეგად, საქართველომ იკისრა ვალდებულება განეხორციელებინა თავისი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის სამართალთან, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 2 მაისს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება. აღნიშნული კანონით დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს სახალხო დამცველს მიენიჭა.

2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება და შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, უდავოდ, მნიშვნელოვანი წინსვლაა საქართველოში თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისათვის. ნებისმიერ პირს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დისკრიმინაციას დაექვემდებარა, შეუძლია, მოითხოვოს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისი მავნე შედეგების აღმოფხვრა.

ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შექმნისა და განვითარების, ასევე თანასწორობის მექანიზმის ჩამოყალიბების შედეგად, ასეულობით ადამიანისა თუ კონკრეტული ჯგუფების უფლებების დაცვა გახდა შესაძლებელი. ასევე, ანტი-დისკრიმინაციული კანონისა და მექანიზმის შესახებ ცოდნა სისტემატიურად ვრცელდება. გარდა ამისა, იზრდება წარმატებული საქმეების რაოდენობაც, რომლებშიც საჯარო უწყებებმა და კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა აღასრულეს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, ზოგადი წინადადებები, რაც, თავის მხრივ, სხვა უწყებებსა და კომპანიებს წაახალისებს.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი არის თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის (Equinet) წევრი[1], რომელიც აერთიანებს 46 ორგანიზაციას 34 ევროპული ქვეყნიდან, რომლებიც უფლებამოსილი არიან ებრძოლონ დისკრიმინაციას ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, რასის ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის საფუძველზე. თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი ხელს უწყობს თანასწორობას ევროპაში, თანასწორობის ეროვნული ორგანოების საქმიანობის მხარდაჭერით. **2018 წლის 7 ნოემბერს,** ბრიუსელში, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის (Equinet) ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წევრობის საკითხი განიხილეს და საქართველოს თანასწორობის ორგანოს სრული წევრობის გადაწყვეტილებას ქსელის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

[1] იხ. ვებგვერდი: https://equineteurope.org/

აღსანიშნავია, რომ ქსელის წევრები მხოლოდ ევროკავშირის წევრი და კანდიდატი სახელმწიფოები იყვნენ. საქართველო პირველი ქვეყანაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რომელსაც გაწევრიანების შესაძლებლობა 2017 წელს, გენერალურ ასამბლეაზე განხორციელებული წესდების ცვლილებების თანახმად მიეცა.

თანასწორობის მექანიზმის 10 წლის საქმიანობის წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის განვლილ პერიოდს, გამოწვევებისა და მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით.

სახალხო დამცველის აპარატი მადლიერია ყველა იმ ადამიანის, რომელმაც 10 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატს სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეების შესასწავლად მომართა. დამატებით, ხაზგასასმელია ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მხარდაჭერა, რომელიც სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტს ეხმარებოდა დისკრიმინაციის მსხვერპლების უფლებების დაცვაში, თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში.

სამომავლო პერსპექტივებთან მიმართებით, ნიშანდობლივია, რომ თანასწორობის ორგანოებთან დაკავშირებით, 2022 წელს ევროკავშირმა ორი ახალი დირექტივა შეიმუშავა[2], რომელთა მიზანია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული თანასწორობის ორგანოების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს თანასწორი საზოგადოებების შექმნას და დისკრიმინაციის უფრო ეფექტურად აღმოფხვრას. დირექტივები მიემართება თანასწორობის ორგანოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაზრდას, მათ გამოყოფას სხვა ინსტიტუციებისგან, გადაწყვეტილებების სამართლებრივ ხასიათს, უფლებამოსილებათა გაზრდასა და კომპეტენციათა გაძლიერებას, საკმარისი რესურსების გადაცემას, დაზარალებულთათვის მხარდამჭერი სერვისების შეთავაზების უზრუნველყოფას, ცნობიერების ასამაღლებელი საქმიანობის გაძლიერებას, საუკეთესო პრაქტიკების და გამოცდილებების გაზიარებისთვის ძალისხმევის გაწევის ვალდებულებას, ინდიკატორების შემუშავებაში დახმარებას, რაც დირექტივებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანობას შეაფასებს და ეროვნულ დონეზე შეგროვებული მონაცემების ანალიზს უზრუნველყოფს. დღეს არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები საყურადღებოა საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის, სამომავლო საქმიანობის მიზნებისთვისაც.

---

[2] იხ. **1)** 2022/0400 (COD): Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on standards for equality bodies in the field of equal treatment and equal opportunities between women and men in matters of employment and occupation, and deleting Article 20 of Directive 2006/54/EC and Article 11 of Directive 2010/41/EU. This proposal is based on Article 157(3) of the Treaty on the Functioning of the European Union; **2)** 2022/0401 (APP): Proposal for a Council Directive on standards for equality bodies in the field of equal treatment between persons irrespective of their racial or ethnic origin, equal treatment in the field of employment and occupation between persons irrespective of their religion or belief, disability, age or sexual orientation, equal treatment between women and men in matters of social security and in the access to and supply of goods and services, and deleting Article 13 of Directive 2000/43/EC and Article 12 of Directive 2004/113/EC. This proposal is based on Article 19(1) of the Treaty on the Functioning of the European Union

10 წლის სტატისტიკური ინფორმაცია

განვლილი 10 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველმა ჯამში სავარაუდო დისკრიმინაციის **1363 ფაქტი** შეისწავლა[3], საიდანაც, **97 შემთხვევაში,** წარმოება საკუთარი ინიციატივით დაიწყო. წლიდან წლამდე აქტიურად იცვლებოდა დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნების რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ წელს არსებული სოციალური, ეკონომიკური საკითხებითა და პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული.

შესწავლილი ფაქტებიდან ყველაზე მეტი - 189 **სქესის/გენდერის** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევას შეეხებოდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული 189 საქმიდან 49 შემთხვევაში განმცხადებლები **სექსუალურ შევიწროების ფაქტებზე** დავობდნენ. რიცხობრივი მაჩვენებლით, მეორე ადგილზეა **განსხვავებული მოსაზრების** ნიშანი - 160 საქმე, რასაც მოსდევს **რელიგიის** ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები - 132 საქმე. **სექსუალური ორიენტაციის** ან/და **გენდერული იდენტობის** ნიშანზე სახალხო დამცველმა - 127 საქმეში იმსჯელა, ხოლო **პოლიტიკური შეხედულების/კუთვნილების ნიშნით** დისკრიმინაციაზე - 123 შემთხვევაში. **შეზღუდული შესაძლებლობის** ნიშნით დისკრიმინაციას - 110 საქმე მიემართებოდა, **ეროვნების/მოქალაქეობის** ნიშანს - 96, ხოლო **ეთნიკური კუთვნილებას** - 67 შემთხვევა. შედარებით მცირე იყო **ასაკის** ნიშანთან დაკავშირებული საქმეები და მისმა ჯამურმა რაოდენობამ - 40 შეადგინა. ასევე, 17 შემთხვევაში სახალხო დამცველმა **პროფესიული კავშირის წევრობის** ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი შეისწავლა, ხოლო **სხვა ნიშანი** - 302 საქმეში გამოიკვეთა.

[3] **შენიშვნა:** სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავს 2014 წლის მაისის თვიდან - 2024 წლის 30 აპრილამდე არსებულ მდგომარეობას

ცხრილი N1 სახალხო დამცველის მიერ 10 წლის განმავლობაში შესწავლილი საქმეების ჯამური მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



დეტალური ინფორმაცია, თუ როგორი იყო ნიშნობრივი გადანაწილება წლების მიხედვით, მათ შორის, რომელი ნიშანი იყო ყველაზე აქტუალური თითოეულ წელს, ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში.

ცხრილი N2 სახალხო დამცველის მიერ 2014 წლის ივლისი - დეკემბრის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N3 სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N4 სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N5 სახალხო დამცველის მიერ 2017 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N6 სახალხო დამცველის მიერ 2018 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N7 სახალხო დამცველის მიერ 2019 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N8 სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N9 სახალხო დამცველის მიერ 2021 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N10 სახალხო დამცველის მიერ 2022 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N11 სახალხო დამცველის მიერ 2023 წლის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



ცხრილი N12 სახალხო დამცველის მიერ 2024 წლის იანვარი - აპრილის პერიოდში შესწავლილი საქმეების მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით



სახალხო დამცველის მანდატი თანაბრად ვრცელდება როგორც საჯარო უწყებების, ასევე კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ჩადენილ დისკრიმინაციაზე. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი საჯარო სექტორიდან მომდინარე სავარაუდო დისკრიმინაციულ ფაქტებს შეეხებოდა (იხ. ცხრილი N14).

ცხრილი N14 სახალხო დამცველის მიერ განხილული საქმეების ჯამური მაჩვენებელი სექტორების მიხედვით



ცხრილი N15 თითოეულ წელს სახალხო დამცველის მიერ განხილული საქმეები სექტორების მიხედვით



განმცხადებლების უმრავლესობა სახალხო დამცველს წარმომადგენლის გარეშე მომართავდა. სახალხო დამცველის მიერ განხილულ **1363 საქმიდან** წარმომადგენელი ჩართული იყო **320** შემთხვევაში. ამათგან, „თანასწორობის კოალიციის“[4] წევრი ორგანიზაციები განმცხადებლებს **168 საქმეში** წარმოადგენდნენ (იხ. **ცხრილი N16**).

ცხრილი N16 წარმომადგენლობის მაჩვენებელი წლების მიხედვით



რაც შეეხება სახალხო დამცველის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, 10 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე **110 რეკომენდაცია, 51 ზოგადი წინადადება და 28 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება** მოამზადა. დეტალური ინფორმაცია, წლების მიხედვით, ასახულია ცხრილებში N17 და N18.

[4] **„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრები არიან:** საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSFG); სოციალური სამართლიანობის ცენტრი; უფლებები საქართველო; კავშირი „საფარი“; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI); ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC); თანასწორობის მოძრაობა

ცხრილი N16 სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული რეაგირების ჯამური მაჩვენებელი



ცხრილი N17 სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული რეაგირების მაჩვენებელი წლების მიხედვით



კერძო და საჯარო სამართლის სუბიექტების მიერ შესრულების სტატისტიკის შედარება ცხადყოფს, რომ საჯარო სამართლის სუბიექტები **უკეთ ასრულებენ სახალხო დამცველის გადაწყვეტილებებს**.

საჯარო სამართლის სუბიექტების მიმართ გაცემულია 48 რეკომენდაცია, რომელთაგან 22 შესრულდა, 21 არ შესრულდა, 5 კი ნაწილობრივ შესრულდა. ხოლო, კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ გაცემული 62 რეკომენდაციიდან, შესრულდა - 15, არ შესრულდა - 43, ნაწილობრივ შესრულდა - 4 (იხ. ცხრილი N18).

რაც შეეხება ზოგად წინადადებებს, საჯარო სამართლის სუბიექტებმა, 35 ზოგადი წინადადებიდან 20 შეასრულეს, 11 არ შეასრულეს, 4 ნაწილობრივ შეასრულეს. ხოლო, კერძო სამართლის სუბიექტებმა 16 ზოგადი წინადადებიდან, შეასრულეს - 3 და არ შეასრულეს - 13 (იხ. ცხრილი N18).

ცხრილი N18 სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მაჩვენებელი სექტორების მიხედვით



ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები

2014 წლის 2 მაისს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით სახელმწიფომ დისკრიმინაციასთან ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარა. კანონმა აკრძალა არა მხოლოდ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, არამედ დისკრიმინაცია ასოციაციით, დისკრიმინაციის იძულება, წაქეზება და ხელშეწყობა როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. თუმცა, დისკრიმინაციისგან დაცვის მნიშვნელოვანი ბერკეტების შექმნის მიუხედავად, კანონი შეიცავდა არა ერთ მატერიალური და პროცესუალური ხასიათის ხარვეზს, რაც სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად აფერხებდა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სრულყოფილად შესწავლის მიმართულებით.

2015 წლის 11 თებერვალს, ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა[5]. სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მოიცავდა კერძო პირებთან მიმართებით სახალხო დამცველის მანდატის გაძლიერების, მათ შორის, რეკომენდაციის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების წარმოდგენის დავალდებულების, სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდის, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაძლიერების და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სახალხო დამცველისთვის საქმის შესწავლის შესაძლებლობის მინიჭების საკითხებს. ამასთან, თავის სპეციალურ ანგარიშებში[6] სახალხო დამცველი მუდმივად უსვამდა ხაზს ანტი-დისკრიმინაციული კანონის პრობლემურობას იმ მიმართულებითაც, რომ იგი არ ითვალისწინებდა დისკრიმინაციის ისეთ ფორმებს, როგორიც არის - შევიწროება, სექსუალური შევიწროება, უარი გონივრულ მისადაგებაზე და სეგრეგაცია.

ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის დახვეწა

2019 წელს ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა:

- სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირებზე, საჯარო უწყებების მსგავსი სამართლებრივი რეგულირებით გავრცელდა - ფიზიკურ და კერძო სამართლის

[5] საკანონმდებლო წინადადებით მოთხოვნილი იყო ცვლილებების შეტანა შემდეგ კანონებში: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონში, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში

[6] დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2015 წლის სპეციალური ანგარიში, გვ 42; დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2015 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 35

იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ[7];

- რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს შესაძლებლობა მიეცა, კერძო სამართლის იურიდიული პირის წინააღმდეგ სასამართლოში იდავოს[8];
- დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან 1 წლამდე გაიზარდა[9];
- შევიწროება და სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმებად განისაზღვრა[10].

კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით, მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომლის შედეგადაც, დისკრიმინაციის ფორმების ჩამონათვალი კიდევ უფრო გაფართოვდა და უარი გონივრულ მისადაგებაზე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრა.

ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

- სექსუალური შევიწროების ცნების საკანონმდებლო რეგლამენტირებასთან ერთად, 2019 წლის 3 მაისს[11], საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი სექსუალური შევიწროება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა (სასკ-ის 166[1] მუხლი) და საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით, სამართლებრივი დაცვის ახალი მექანიზმი გაუჩნდა.

ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში

საქართველოს „შრომის კოდექსში“ 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხები ცალკე თავად გამოყო და დეტალურად მოწესრიგდა[12].

- კანონის ახალი რედაქციით, დამსაქმებელს, თანაბარი შრომისთვის, ქალისა და კაცისთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა დაევალა;
- განისაზღვრა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების (შერჩევის კრიტერიუმები, დასაქმების პირობები, კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა და სხვ.) არაამომწურავი ჩამონათვალი, რომლებზეც თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება;

---

[7] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტი; მუხლი 24

[8] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] „თ1“ პუნქტი

[9] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2]-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[10] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3[1] და მე-3[2] პუნქტები

[11] 2019 წლის 3 მაისის კანონი N4552-IIს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

[12] 2020 წლის 29 სექტემბრის ორგანული კანონი N7177-Iს „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

- მკაფიოდ განისაზღვრა მტკიცების ტვირთის განაწილებისა და გონივრული მისადაგების პრინციპები და დამსაქმებელს სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების ვალდებულებაც დაეკისრა;
- გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი და შრომით (სუბორდინაციულ) ურთიერთობებში დისკრიმინაციის შემთხვევების შესწავლის მანდატი 2021 წლის 1 იანვრიდან მიენიჭა.

ცვლილებები შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით

აუცილებლად უნდა აღინიშნოს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებებიც:

- 2017 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 53[1] მუხლი დაემატა, რომელიც, ნებისმიერი ნიშნით, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიმართ პასუხისმგებლობის დამძიმების შესაძლებლობას იძლევა;
- 2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას, სწორედ, სიძულვილით მოტივირებული და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მონიტორინგი წარმოადგენს. 2022 წელს, ასევე, გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა;
- 2020 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც **ყოველი წლის 1 მარტს,** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულების წლიური სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება. საქართველოს 2020 წლამდე არ გააჩნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია, რისი შექმნის აუცილებლობისკენაც სახალხო დამცველი საგამოძიებო უწყებებს, ყოველწლიურად, აქტიურად მოუწოდებდა.

სახალხო დამცველის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და წარმატებული პრაქტიკები

განვლილი 10 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ განხილული სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები ხასიათდებოდა უფლებადარღვევის სფეროებისა და დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნების მრავალფეროვნებით. ამ პერიოდში, დისკრიმინაციის მიმართულებით სახალხო დამცველის პრაქტიკა ვითარდებოდა სხვადასხვა საკითხზე რეკომენდაციების, ზოგადი წინადადებებისა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებების წარდგენით, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართული იყო ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პროგრესული სამართლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბებისკენ.

სამართალწარმოება დისკრიმინაციის საქმეებზე

- 2015 წლის 2 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვანი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) წარადგინა[13] განსჯადობის საკითხზე. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარედგინა და წვლილი შეეტანა სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

  საქმის განმხილველმა მოსამართლემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუ რამდენად არის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია უფლებამოსილი განიხილოს საქმე დისკრიმინაციული მოპყრობის ნაწილში, იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებული მე-7[3] კარი, „სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე“, წარმოადგენს სპეციალურ რეგულირებას, ვრცელდება სამოქალაქო წესით განსახილველ საქმეებზე და მათი გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ არის სწორი. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ისეთი ჩანაწერის არსებობა, რომელიც არ არის ადმინისტრაციულ პროცესში არ წარმოადგენს განსჯადობის განმსაზღვრელს და ადმინისტარციული კოლეგიის მოსამართლეს აქვს თავისუფლება გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები.

- აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის მარკერის შესაცვლელად სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვისკენ მოუწოდა, რომლით სარგებლობასაც ტრანსგენდერი ადამიანები დაუბრკოლებლად შეძლებენ. ამ სახის რეგულირების საჭიროებაზე სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებდა, რის შესახებაც, ზემოაღნიშნული საქმის ფარგლებში, ევროპულ სასამართლოს მესამე მხარის ინტერვენციითაც მიმართა.

სასამართლო წარმოების გზით სახალხო დამცველის რეკომენდაციის აღსრულება

- 2016 წლის 19 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია და რეკომენდაციით[14] მიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „ქობულეთის წყალს“. მუსლიმი თემი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ესარგებლა მის მფლობელობაში არსებული შენობით, რომელშიც ბავშვთა სასწავლო პანსიონის გახსნა იგეგმებოდა. კერძოდ, აღნიშნული საკითხის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის ფონზე, ვერ მოხერხდა შენობის წყალგაყვანილობის სისტემაზე მიერთება.

  სახალხო დამცველმა მოპასუხეებს მიმართა, დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ წყალგაყვანილობის სისტემაზე მიერთების სამუშაოები, ასევე ქობულეთის

[13] იხ. ვებგვერდი: bit.ly/4krp3JA
[14] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4kpdFOn

მუნიციპალიტეტის გამგეობას მოუწოდა, შეხვედრების ჩატარების გზით უზრუნველეყო ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მუნიციპალიტეტში მცხოვრები რელიგიური ჯგუფების თანასწორობის უფლების დაცვა.

მოპასუხეებმა ვერ უზრუნველყვეს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რის გამოც სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეში **პირველად გამოიყენა** სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება[15] და სასარჩელო წარმოების გზით მოითხოვა რეკომენდაციის შესრულება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სრულიად დაკმაყოფილდა სახალხო დამცველის სარჩელი.[16]

სექსუალური შევიწროების და სექსიზმის საქმეები

- 2017 წლის 17 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრებით მიმართა[17] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეზე, რომელიც დამსაქმებლის მხრიდან მის დაქვემდებარებაში მყოფი ქალის სექსუალურ შევიწროებას ეხებოდა. განსახილველ საქმეში მთავარ სირთულეს წარმოადგენდა ეროვნულ კანონმდებლობაში სექსუალური შევიწროების სრულყოფილი დეფინიციისა და საკანონმდებლო ჩარჩოს არ არსებობა, რომელიც 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით აისახა კანონმდებლობაში. ასევე, ერთ-ერთი მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა სასამართლო პრაქტიკის არ არსებობა. აღნიშნული საქმე შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში სექსუალური შევიწროების სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან საქმედ.

- 2020 წლის 29 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა ექიმის მხრიდან კარანტინში მყოფი ქალის მიმართ **სამივე ფორმით გამოხატული სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა[18].** საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ექიმმა, რომელთანაც ხელშეკრულება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჰქონდა დადებული, განმცხადებლის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქმედებები განახორციელა, რაც გამოვლინდა სხვადასხვა ფორმით - სიტყვიერი, არასიტყვიერი და ფიზიკური ქცევით, რამაც განმცხადებელს დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო შეუქმნა.

---

[15] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს

[16] დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2018 წლის სპეციალური ანგარიში. გვ.35. იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3F6Eib2

[17] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3FdXB1S

[18] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/43l0lEU

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სახალხო დამცველის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის შემდეგ, სოციალური მომსახურების სააგენტომ დაიწყო სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა და სექსუალური შევიწროების დაუშვებლობასთან დაკავშირებით დასაქმებულთა და მომსახურების მიმწოდებელთა ინფორმირების ღონისძიებების განსაზღვრა და დაგეგმვა.

- 2022 წლის 5 ივლისს სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა[19] სექსუალური შევიწროების სპეციფიკური ფორმა - „მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo)". საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიის დირექტორი დასაქმებულ ქალს არასამსახურეობრივ საკითხებზე აქტიურად წერდა, გარეგნობას აფასებდა და ირიბად მიანიშნებდა, რომ მისი კარიერული წინსვლა მის ქცევაზე იყო დამოკიდებული. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ კარიერული წინსვლისთვის შესაბამის ქცევაზე მითითება ქმნიდა Quid Pro Quo შემადგენლობას. საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების ამ ფორმას უმეტეს შემთხვევაში მაშინ ვხვდებით, როდესაც სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი პირი სამსახურში ზემდგომ პოზიციაზეა და მსხვერპლისთვის დაწინაურებისა თუ სხვა სარგებლის, მაგალითად, ბონუს ჰონორარების შეთავაზება შეუძლია.

- 2024 წლის 22 იანვარს სახალხო დამცველმა ფიზიკურ ქცევაში გამოხატული სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა[20] და სექსიზმის კონტექსტში განიხილა მოპასუხის მიერ განმცხადებელთან საუბრისას გამოხატული შეფასებები მისი გარეგნობის, სხეულისა თუ პიროვნული ენერგეტიკის შესახებ. ამასთან, განმცხადებლისთვის რამდენჯერმე იმის მითითება, რომ მას მამაკაცის საწყისი აქვს და კრიტიკა იმის გამო, რომ მისი გარეგნობა არ შეესაბამება მოპასუხის წარმოდგენებს სექსუალობის შესახებ, სქესის ნიშნით ადამიანის შერცხვენა და აშკარა სექსიზმის გამოვლინებაა.

დამატებით, ხაზგასასმელია სახალხო დამცველის საქმიანობა სექსიზმთან ბრძოლის მიმართულებით, სადაც არაერთ შემთხვევაში მწვავე შეფასება მიეცა სექსიზმის სხვადასხვა კონტექსტში გამოვლინებას. **სექსიზმის კონტექსტში სახალხო დამცველმა განიხილა სოციალური ქსელებით თუ ტელევიზიით გასული არაერთი რეკლამა,** სადაც სქესის ნიშნით არსებული გენდერული სტერეოტიპები იყო გამყარებული.

- საქართველოს ბანკის რეკლამა[21] **„ქმარკომატი",** სადაც კაცი გაიგივებულია ბანკომატთან, ხოლო ქალი წარმოჩენილი იყო როგორც მამაკაცზე მატერიალურად დამოკიდებული. სახალხო დამცველმა აღნიშნული რეკლამა მიიჩნია სექსისტური ხასიათის მატარებლად, რომელიც ამკვიდრებს გენდერულ სტერეოტიპს. ამგვარი სტერეოტიპების დამკვიდრება კი ხელს უწყობს ერთ-ერთი სქესის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის გაღრმავებას, პოპულარიზაციას უწევს საუკუნეების განმავლობაში ერთ-ერთი სქესის საზიანოდ ჩამოყალიბებულ გენდერულ

[19] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/41Jn3p3
[20] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4h7VFW7
[21] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4ato8mJ

სტერეოტიპებს, აადვილებს მათ გადაცემას. მსგავსი რეკლამა წარმოადგენს დისკრიმინაციის ხელშემწყობ საშუალებას და ამართლებს დისკრიმინაციულ პრაქტიკას.

- სხვა საქმეში, ტელეკომპანია **ტაბულას**[22] ერთ-ერთი გადაცემის პრომო რგოლში ქალის შიშველი სხეული გამოყენებული იყო საკვების განთავსებისათვის განკუთვნილ ობიექტად - როგორც ღირებულებას მოკლებული ნივთი, რაც აუფასურებს ქალის პიროვნებას. სახალხო დამცველმა განმარტა, რომ ქალის შეფასება მისი გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლებით, მისი ობიექტივიზაცია და „ნივთად წარმოჩენა" წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისთვის საქართველოში. სექსისტური რეკლამით ქალს მინიჭებული აქვს დეკორატიული როლი და ამასთან, ის არის სექსუალიზირებული, შიშველი სხეულის წარმოჩენით.

- ენერგეტიკული სასმელი „ბუღას" შეფუთვაზე გაკეთებულია ილუსტრაცია და წარწერა **„არ არის გოგონებისათვის".** სასმელის პოპულარიზაციის მიზნით, სოციალურ ქსელში წარმოებული კამპანიის მიზანს წარმოდგენდა იმის ხაზგასმა, რომ **„ბუღა" არის „ნამდვილი მამაკაცებისათვის".** სოციალურ ქსელში ასევე ხელმისაწვდომი იყო რეკლამა, რომლის თანახმად, სასმელი **„ძრობა"** განკუთვნილია **„მხოლოდ ნაშებისთვის".**[23] სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ „ბუღას" შეფუთვა შეურაცხმყოფელია ქალებისთვის და ხელს უწყობს ქალთა უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებას, რამდენადაც სასმელის შეფუთვა და სოციალურ ქსელში კომპანიის მიერ წარმოებული კამპანია ხაზს უსვამს მამაკაცის დომინანტურ როლს, ამავდროულად სექსისტური გამონათქვამების ან/და ფოტო/ილუსტრაციის შემცველი რეკლამა ხელს უწყობს ერთ-ერთი სქესის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის გაღრმავებას, წარმოადგენს დისკრიმინაციის ხელშემწყობ საშუალებას და ამართლებს ასეთ პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების წარდგენის შემდეგ, შეიცვალა „ბუღას" პროდუქტის დიზაინი.

ინტერსექციური დისკრიმინაცია ქალთა თანასწორუფლებიანობის ჭრილში

- 2016 წლის 18 მაისს სახალხო დამცველმა შრომით ურთიერთობაში ორსულობის ნიშნით დისკრიმინაცია დაუდგინა[24] „კრედოს". ვადის ამოწურვის გამო, განმცხადებელს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, რის შემდეგაც კომპანიაში განვადების ოფიცრის თანამდებობაზე 8 პირი დაინიშნა და მხოლოდ განმცხადებელს, რომელიც იყო ორსულად, არ გაუგრძელდა ხელშეკრულება. სახალხო დამცველმა განმარტა, რომ ვადის გაგრძელების მოთხოვნის უფლება შესაძლოა წარმოეშვას დასაქმებულს, თუ დადასტურდება, რომ ხელშეკრულების გაუგრძელებლობა დისკრიმინაციული მოტივით იყო განპირობებული.

[22] იხ. ვებგვერდი: bit.ly/3UiyhNt
[23] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3Q4gJlH
[24] იხ. ვებგვერდი: bit.ly/4aZpIfQ

აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ განმცხადებელი აღადგინა[25] სამსახურში და მასთან გაფორმდა უვადო შრომითი ხელშეკრულება განვადების ოფიცრის პოზიციაზე, რომლის შესრულებასაც დეკრეტული შვებულების გასვლის შემდეგ შეუდგა. ასევე, განმცხადებელს სრულად აუნაზღაურდა მკურნალობისთვის გაწეული ხარჯები და განაცდური ხელფასი. ამასთან, „კრედოს“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა განმცხადებლისთვის წერილობით გამოცხადებული გაფრთხილება.

- 2024 წლის 30 იანვარს სახალხო დამცველმა შპს „იმპექსფარმს“ მრავალი ნიშნით (სქესი და ოჯახური მდგომარეობა) დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა[26].განმცხადებელი იყო ფოთის ერთ-ერთი აფთიაქის მენეჯერი, რომელიც მოკლე შუალედით ზედიზედ ორჯერ იმყოფებოდა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში. შვებულების დასრულების შემდეგ კი, დამსაქმებელმა უარი უთხრა თავის სამუშაო ადგილას დაბრუნებაზე, ვინაიდან, ხანგრძლივი შვებულების გამო, მენეჯერის პოზიციაზე უკვე სხვა პირი იყო დასაქმებული.

  სახალხო დამცველმა განმარტა, რომ დასაქმებულს უფლება აქვს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ დაბრუნდეს იმავე სამუშაოზე და იმავე შრომის პირობებით და აგრეთვე, ისარგებლოს ნებისმიერი გაუმჯობესებული შრომის პირობებით იმის ფარგლებში, რის მიღების უფლებაც მას ექნებოდა შვებულებით რომ არ ესარგებლა. გარდა ამისა, ფოთის მაცხოვრებლის ქუთაისში სამუშაოდ განწესება, საგრძნობლად აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას, რადგან კანონით განსაზღვრულ 3 საათზე მეტი დროა საჭირო სამუშაო ადგილზე მისასვლელად.

  აღსანიშნავია, რომ შპს „იმპექსფარმამ“ ასევე გაიზიარა[27] სახალხო დამცველის რეკომენდაცია და 2024 წლის 20 თებერვლიდან განმცხადებელთან აღადგინა შრომითი ურთიერთობა, აუნაზღაურა განაცდური 2022 წლის 5 მარტიდან 2024 წლის 20 თებერვლამდე პერიოდისთვის და 2024 წლის 20 თებერვლამდე შრომის ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის, განმცხადებელს დამატებით გადაუხადა სახელფასო ანაზღაურების 0.07 პროცენტი.

- სახალხო დამცველმა 2020 წლის 21 დეკემბერს სქესის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა[28] ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში ქალი ექსპერტების დასაქმებისკენ მოუწოდა. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, პრობლემურად იყო შეფასებული, რომ, რიგ შემთხვევებში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს, კანონმდებლობით მინიჭებული უფლების მიუხედავად, ქალი ექსპერტების არარსებობის გამო, ექსპერტიზას კაცი უტარებდა, რაც მსხვერპლებისთვის დამატებითი სტრესის მიზეზი ხდებოდა.

[25] იხ. ვებგვერდი: bit.ly/3xGBspr
[26] იხ. ვებგვერდი: bit.ly/3vXACnK
[27] იხ. ვებგვერდი: bit.ly/3vTUKag
[28] იხ. ვებგვერდი: bit.ly/3W0o1dS

ექსპერტიზის ბიურომ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში ქალი ექსპერტი მუშაობს 2022 წლის 9 მარტიდან, ხოლო აჭარის დეპარტამენტში ქალი ექსპერტი მუშაობს 2022 წლის 3 იანვრიდან.[29]

ქალთა თანასწორუფლებიანობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სპორტსმენი ქალების წინაშე არსებული გამოწვევებიც.

- 2023 წლის 15 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით[30] მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტებს. საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა კლუბების დაფინანსების სიმცირის გამო, სპორტში ჩართული ქალების შემოსავალი ბევრად ნაკლებია კაცების შემოსავალზე. ამასთან, ქალი პროფესიონალებისთვის ვარჯიშის/თამაშის დროს მიღებული ტრავმების მკურნალობის დაფინანსების საკითხის არასათანადოდ არის მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სპორტში ჩართული ქალების არათანასწორ საწყის მდგომარეობას.

  სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა ქალთა სპორტთან დაკავშირებულ ზოგად გამოწვევებს, სპორტში ჩართული ქალების ჯანმრთელობისა და შრომის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების თანასწორობის პრიზმით განხილვის მნიშვნელობას და სპორტული ფედერაციების შესაბამის ვალდებულებებს.

  მისასალმებელია, რომ 2023 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[31] და შედეგად, შესაძლებელი გახდა ქალი ფეხბურთელების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა, რაც თანასწორუფლებიანობის მიღწევის პროცესში მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

- 2020 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საპენსიო ასაკს მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციულად მიიჩნია[32] „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №279 დადგენილების ის ჩანაწერი, რომლითაც აკრძალულია ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და, მეორე მხრივ, ასაკობრივი პენსიის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანით სარგებლობის საშუალებას იძლევა.

  რეკომენდაციაში ყურადღება გამახვილებულია ამ ორი სახის პენსიის მიზნებზე. სახალხო დამცველის განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე

[29] იხ. ვებგვერდი: bit.ly/49zXLKE
[30] იხ. ვებგვერდი: bit.ly/4aBcVAJ
[31] იხ. ვებგვერდები: https://rb.gy/8xa2mo; bit.ly/3JjZ6ui
[32] იხ. ვებგვერდი: https://rb.gy/mrpib4

სოციალური პაკეტის მიზანია გარემოს, საზოგადოების მიერ განსაზღვრულ ბარიერებზე პასუხის გაცემისთვის ფინანსური რესურსების მობილიზება. ხოლო ასაკობრივი პენსიის ერთ-ერთი მიზანი ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯების გამო ხანდაზმული ადამიანების მეტი სოციალური გარანტიით უზრუნველყოფაა.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საპენსიო ასაკის მიღწევა ყველა შემთხვევაში არ გამორიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღების შესაძლებლობას; სოციალური უზრუნველყოფის არსებული წესი იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ სახელმწიფოსგან ამ ორი ფინანსური სარგებლის ერთდროულად მიღების საკითხი, შესაბამისი პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით წყდებოდეს.

- 2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა[33] საქართველოს მთავრობას.

  საქმე ეხებოდა სოციალური პაკეტით სარგებლობას, რომლითაც ვერ სარგებლობენ მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა) და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, მაშინ როდესაც, კერძო სექტორში დასაქმებული იმავე შეზღუდვის მქონე პირებს შენარჩუნებული ჰქონდათ სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა.

  რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა განმარტა, რომ საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ერთნაირი შეზღუდვის მქონე პირებს, არსებული შეზღუდვიდან გამომდინარე, აქვთ თანაბარი საჭიროებები, შესაბამისად, მათი ინტერესი, მიიღონ გათვალისწინებული სოციალური პაკეტი არის თანაბარი. არსებითად თანაბარ პირობებში მყოფ მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა) და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეპყრობიან განსხვავებულად, რაც განპირობებულია მათი დასაქმების სფეროთი.

- 2020 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაცია დაადგინა[34], ვინაიდან სკოლის ერთ-ერთ მოსწავლეს უარი უთხრეს მონაწილეობა მიეღო საგანმანათლებლო, სოციალურ საზაფხულო სკოლაში. არასრულწლოვანს, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, გაუჭირდებოდა უცხო ადგილას მარტო ყოფნა, ხოლო სკოლის ადმინისტრაციის პოზიციით, საზაფხულო სკოლაში არ იყო გათვალისწინებული მისი საჭიროება - თან გაჰყოლოდა ბებია. სახალხო დამცველმა შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციები და ზეპირად დაფიქსირებული გარემოებები

[33] იხ. ვებგვერდი: https://rb.gy/tlv04y
[34] იხ. ვებგვერდი: https://rb.gy/dxuej5

და დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით არ დასტურდება, რომ არასრულწლოვნის საჭიროების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლას გადამეტებული ფინანსური ტვირთი დაეკისრებოდა.

აღსანიშნავია, რომ უარი გონივრულ მისადაგებაზე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით ჯერ კიდევ არ იყო გათვალისწინებული, თუმცა, სახალხო დამცველმა მისი ელემენტები განიხილა საერთაშორისო მიდგომებზე დაყრდნობით.

- 2020 წლის 17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა[35] კომპანია „მეღვინეობა ხარებას“, რადგან განმცხადებელს უარი ეთქვა დასაქმებაზე იმის გამო, რომ მას მარცხენა ხელზე აქვს სამეანო დამბლა. განმცხადებელმა დამსაქმებელს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო, მას ხელფასის დარიცხვისას ეკუთვნის საგადასახადო შეღავათი. აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე, განმცხადებელს კომპანიის დატოვება მოსთხოვეს.

  სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ დასაქმებაზე უარი ეფუძნებოდა მოპასუხის ვარაუდს, რომ განმცხადებელი ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. შემაშფოთებელია, რომ მოპასუხემ არც კი შეაფასა, რეალურად შეუშლიდა თუ არა ხელს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი განმცხადებელს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში. სახალხო დამცველის შეფასებით, სამწუხაროდ, კვლავ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმა და სტერეოტიპული დამოკიდებულება. შესაბამისად, აუცილებელია მათი უფლებებისა და ღირსებისადმი პატივისცემაზე ზრუნვა, არსებულ სტერეოტიპებთან და ცრურწმენებთან ბრძოლა.

  მისასალმებელია, რომ „მეღვინეობა ხარებამ“ სახალხო დამცველს აცნობა, რომ გაიზიარა რეკომენდაცია და კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს დაავალა კომპანიის შიდა დოკუმენტების დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა, თანამშრომლებისთვის დამატებით გაცნობა და აღსრულების კონტროლი.

  - ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების პრობლემა გამოვლინდა პენიტენციურ დაწესებულებაშიც. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე პირმა, ვერ შეძლო პატიმრობაში მყოფი შვილის მონახულება, ვინაიდან პენიტენციურ დაწესებულებაში გარემო არ იყო უზრუნველყოფილი ეტლით მოსარგებლეთათვის, ხოლო, პერსონალური დამხმარის თანხლების შესაძლებლობის სანაცვლოდ, მას ღირსების შემლახველი და საფრთხის შემცველი გადაადგილება შესთავაზეს. სახალხო დამცველმა საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინა. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა საპატიმრო დაწესებულებების მისაწვდომობის, პაემნის უფლებისა და მასთან

[35] იხ. ვებგვერდი: https://rb.gy/o1wtig

დაკავშირებული სხვა უფლებების და გონივრული მისადაგების ვალდებულების კუთხით არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე.[36]

მომსახურება როგორც კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება

- 2017 წლის 31 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველმა ერთ-ერთ ტაქსის მძღოლსა და ტაქსის კომპანია „Maxim"-ს (შპს „ტექნოკომი") გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით [37] მიმართა, ვინაიდან ტრანსგენდერ ქალს უარი ეთქვა ტაქსით მომსახურებაზე. განსახილველ საქმესთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებისას, სახალხო დამცველი დაეყრდნო არამხოლოდ საქმეში არსებულ მასალებსა და მოპასუხე ტაქსის მძღოლთან გასაუბრების შედეგებს, არამედ ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ლგბტ+ თემი საქართველოში დღეს ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია და ისინი ძალიან ხშირად აწყდებიან დაბრკოლებას მომსახურების მიღების პროცესში.

  სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა შპს „ტექნოკომის" პასუხისმგებლობის საკითხსაც და აღნიშნა, რომ ტაქსის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ კომპანიის მიერ საჯაროდ შეთავაზებული სერვისით ჯეროვანი სარგებლობა თანასწორად შეძლოს ყველა ადამიანმა.

- 2018 წლის 1 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება[38] (Amicus Curiae) წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს. განმცხადებელს, სექსუალური ორიენტაციის გამო, არ ეძლეოდა კარაოკე ბარებში შესვლის შესაძლებლობა.

  სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა, თანასწორობის საკითხზე ევროკავშირის დირექტივების მიმოხილვის საფუძველზე, ყურადღება გაამახვილა მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებაზე. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველმა წარმოადგინა საქონლისა და მომსახურების მიღებისას დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის ტესტი, ასევე განიხილა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი.

  სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობისას მნიშვნელოვანია, ადამიანის სექსუალურმა ორიენტაციამ არ გამოიწვიოს მიკერძოება, სერვისის მიმწოდებლებს არ ჰქონდეთ წინასწარ შექმნილი

[36] იხ. ვებგვერდი: https://rb.gy/0d1ahg
[37] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4isnCsW
[38] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4inAxvT

ჰომოფობიური განწყობა და სერვისით სარგებლობის თაობაზე გადაწყვეტილებები არ დააფუძნონ პირის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას.

დისკრიმინაციული ვაკანსიები

- 2017 წლის 5 მაისს, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა[39] საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიმუშავოს სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული იქნება რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს ვაკანსიის შესახებ განცხადებების ფორმულირება, რა ტერმინების გამოყენება იწვევს დისკრიმინაციას და როგორ შეიძლება განცხადების მორგება სამუშაოს სპეციფიკაზე იმგვარად, რომ დისკრიმინაციული შეზღუდვები არ იქნეს გამოყენებული.

  სახალხო დამცველის აპარატში, დასაქმების შესახებ საჯაროდ გავრცელებულ ვაკანსიებში დისკრიმინაციული შეზღუდვების არსებობასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების სიმრავლემ და სახალხო დამცველის ინიციატივით გამოვლენილ საქმეთა დიდმა რაოდენობამ, ცხადყო, რომ დასაქმების ვებგვერდებზე განთავსებულია დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი არაერთი ვაკანსია. საკითხის მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ პრობლემის აღმოფხვრის პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მონაწილეობა.

  სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სამუშაოს არსის გათვალისწინებით, ვაკანსიის ტექსტი და მოთხოვნები იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ორიენტირებული იყოს სამუშაოს სპეციფიურ ელემენტზე და არ იწვევდეს პირთა ჯგუფის რაიმე ნიშნით ავტომატურ გამორიცხვას.

- აღსანიშნავია, რომ დასაქმების შესახებ საჯაროდ გავრცელებულ ვაკანსიებში დისკრიმინაციული შეზღუდვების არსებობასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატს, ვაკანსიების გამავრცელებელი საიტის (www.jobs.ge) მიმართ გამოცემული ჰქონდა ზოგადი წინადადება[40], შპს „ელიტ-სერვისის“ მიმართ - რეკომენდაცია[41].

- საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველ ვაკანსიებზე არაერთი რეაგირების მიუხედავად, დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი ვაკანსიების ცალკეულ ვებგვერდებზე განთავსება კვლავ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რის საპასუხოდაც, 2020 წლის 19 ნოემბერს, სახალხო დამცველმა 5 სხვადასხვა კერძო კომპანიას მიმართა ზოგადი წინადადებით[42],

[39] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3F6iMTL
[40] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4bguRAD
[41] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3xFDp5s
[42] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4aBrjcd

განცხადებების გამოქვეყნებისას თავი შეიკავონ ვაკანსიაში დისკრიმინაციული კრიტერიუმების განსაზღვრისგან.

პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ინსპექციის სამსახურმა შეიმუშავა ვაკანსიის გამოცხადების დროს დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ სახელმძღვანელო[43] კერძო და საჯარო დაწესებულებებისთვის, სადაც განმარტებულია ის ძირითადი პრინციპები, რაც წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, რათა თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

პლატფორმაზე დასაქმებულ პირთა დისკრიმინაცია

- სახალხო დამცველმა რამდენიმე შემთხვევაში განიხილა სხვადასხვა პლატფორმის (ბოლტი[44], გლოვო[45], ვოლტი[46]) კურიერების განცხადებები, სადაც შეფასების ძირითად საგანს წარმოადგენდა არსებობდა თუ არა შრომითი ურთიერთობა კომპანიასა და კურიერებს შორის თუ მათი სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება საპარტნიორო ხელშეკრულებით, როგორც ამას აღნიშნავდნენ მოპასუხე კომპანიები.

  აღსანიშნავია, რომ, 2023 წლის 5 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველი „ვოლტის“ გაფიცულ კურიერებს პირადად შეხვდა და მათი შრომით უფლებებთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილა.[47]

  საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა იურისდიქციების მიერ დადგენილ უახლეს სტანდარტებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირები, კომპანიასთან არიან შრომით ურთიერთობაში და, შესაბამისად, უფლება აქვთ უსარგებლონ შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვითა და გარანტიებით.

  მისასალმებელია, რომ Glovo-მ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და კურიერს აღუდგინა აპლიკაციაზე წვდომა.[48]

პროფესიული კავშირის წევრობა

სახალხო დამცველის აპარატში ერთდროულად რამდენიმე საქმისწარმოება მიმდინარეობდა, რომლებიც დამსაქმებელთა მხრიდან პროფესიული კავშირებისა და მათი წევრების უფლებების დარღვევისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა. სახალხო დამცველმა მოცემული საქმეები, საერთო

[43] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3Q5nGTy
[44] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/4azuVv6
[45] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3UlPfdW
[46] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3U0MWeM
[47] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3U3vZQN
[48] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/44a11ve

მახასიათებლებისა და კოლექტიური შრომითი დავების მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემური ტენდენციების გათვალისწინებით ერთიანად განიხილა.

სახალხო დამცველი პროაქტიულად აკვირდებოდა პროფკავშირული აქტივობების კუთხით გამოკვეთილ პრობლემურ ტენდენციებს და მუდმივად აღნიშნავდა, რომ მსგავსი მოცემულობის აღმოუფხვრელობა დასაქმების ადგილებზე იმგვარი გარემოს შექმნის/გაძლიერების რისკებს წარმოშობს, რომელმაც, შესაძლოა, შრომით ურთიერთობებში პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები წაახალისოს.

- 2023 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს ზოგადი წინადადებით მიმართა[49], შეიმუშაოს კოლექტიური შრომითი უფლებების სათანადო დაცვისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისკენ მიმართული რეკომენდაციები.
  სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს სხდომის 2023 წლის 26 სექტემბრის სხდომის ოქმით, ცნობილი გახდა, რომ საბჭოს წევრთა მხრიდან ერთხმად იქნა მოწონებული პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის მიმართულებით ერთობლივი სარეკომენდაციო დოკუმენტის/სახელმძღვანელოს შექმნის ინიციატივა და გამოითქვა მზაობა აღნიშნული დოკუმენტის შექმნაში აქტიურ ჩართულობაზე.

- 2015 წლის 10 ნოემბერსა[50] და 2016 წლის 11 იანვარს[51] საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრებები (Amicus Curiae) სარჩელებზე, რომლებიც შეეხებოდა პროფესიული კავშირის წევრობის გამო სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს.

  სასამართლო მეგობრის მოსაზრებებში სახალხო დამცველმა მიმოიხილა პროფესიული კავშირის წევრობის გამო სავარაუდო დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტი, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი, ასევე პროფესიული კავშირის შექმნისა და წევრობის გამო განსხვავებული მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაცია

სახალხო დამცველის პრაქტიკამ ასევე გამოკვეთა სამწუხარო ტენდენცია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რაც უმეტესწილად თავს იჩენს წინასაარჩევნო ან პოსტ-არჩევნებისეულ პერიოდში. ეს ყოველივე მეტწილად განპირობებული იყო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით, სადაც ნათლად გამოჩნდა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების

[49] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/443Zcjl
[50] იხ. ვებგვერდი: https://bit.ly/3Q5yOQ9
[51] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/3f2779da

სამსახურიდან გათავისუფლების და შრომითი უფლებების სხვა სავარაუდო დარღვევების საგანგაშო ტენდენცია კიდევ ერთხელ გამოკვეთა. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით შრომითი უფლებების სავარაუდო დარღვევის ათეულობით საქმეზე დაიწყო მოკვლევა.[52]

როგორც წესი, მსგავსი ტიპის საქმეები ისეთი სახის შრომით უფლებადარღვევებს ეხებოდა, როგორიცაა დისკრიმინაციული მოტივით ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების წარდგენის მოთხოვნა და სამსახურიდან გათავისუფლება. საყურადღებოა ისიც, რომ განმცხადებლები უმეტესად ასოციაციით დისკრიმინაციაზე მიუთითებენ, ვინაიდან მათი უფლებების შეზღუდვა, სავარაუდოდ, მათი ოჯახის წევრის ან მათთან კავშირში მყოფი პირის პოლიტიკურ შეხედულებას ანდა საქმიანობას მოჰყვა.

სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენას აბრკოლებს მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით არსებული სირთულეები. დისკრიმინაციული მოტივები, ხშირად, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციისას მჟღავნდება, ხოლო მოპასუხეები, რა თქმა უნდა, უარყოფენ სამსახურიდან წასვლის თაობაზე მოთხოვნას, თუმცა, საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლა ეჭვს იწვევს უვადოდ დასაქმებული პირის ან/და ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების გაგრძელებაზე მხოლოდ ერთ დასაქმებულს ეთქვა უარი, მაშინ როდესაც მოპასუხე ადასტურებს სხვა პირებთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას.

ხანდაზმულ პირთა დისკრიმინაცია

- 2021 წლის 9 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ასაკის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ზოგადი წინადადებით მიმართა[53] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მთელი რიგი სასესხო პროდუქტების (სამომხმარებლო სესხი, განვადება, იპოთეკა) გაცემის კრიტერიუმად განსაზღვრავენ ასაკს, რომლის მიღმა, პირს აღნიშნული პროდუქტების გაცემაზე შაბლონურად ეუბნებიან უარს. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ასაკი სესხის ვადის შეზღუდვის საფუძველიც ხდება.

  სახალხო დამცველმა, შესაბამის სტანდარტებზე მითითებით, ხაზი გაუსვა, რომ რისკების დაზღვევის მიზნით, სხვადასხვა სახის სესხის გაცემაზე უარის თქმა, ისევე როგორც, მათ მიმართ უფრო მძიმე დამატებითი პირობების გამოყენება, ხანდაზმულ მომხმარებლებს განსხვავებულად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. აღნიშნულის გამოსარიცხად, მომხმარებლის მდგომარეობა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ასაკს არ უნდა ემყარებოდეს.

[52] სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ.49. იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/2a2jk6tc
[53] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/2s3ev7jm

შესაბამისად, სახალხო დამცველმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მოუწოდა, გასცეს სახელმძღვანელო მითითება, რომ საბანკო სერვისების მიწოდების პროცესში ასაკი არ წარმოადგენდეს მომსახურების გაწევაზე ერთმნიშვნელოვნად უარის თქმის ან სასესხო პროდუქტების ვადის შეზღუდვის საფუძველს და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კომერციულ ბანკებს მოუწოდოს, რისკების დაზღვევის პირობები, აუცილებლობის შემთხვევაში, იმგვარად განსაზღვრონ, რომ ზეგავლენა არ მოახდინოს ხანდაზმულ პირთა მიერ ფაქტობრივად მისაღები სახელმწიფო პენსიის იმ ოდენობაზე, რაც საარსებო მინიმუმს უტოლდება.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი წინადადებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხის თანახმად, დაწყებულია საკითხის შესწავლა და დამუშავება, რის ფარგლებშიც, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უკვე გაეგზავნათ შესაბამისი კორესპონდენცია.

- ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებს ფარგლებში, სახალხო დამცველმა იმსჯელა სოციალური (ე.წ. „საპენსიო“) სესხების თაობაზე და 2021 წლის 27 დეკემბერს ზოგადი წინადადებით მიმართა[54] საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

  საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სს „ლიბერთი ბანკი“ საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას სათანადოდ არ ითვალისწინებს სოციალური სესხების მომხმარებელთა განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ამ პირებს გაუმართლებლად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

  სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სოციალური სესხების მომხმარებლებს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პირები, ღატაკი ოჯახები, ვეტერანები, დევნილთა სტატუსის მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონერები და იმ სახელმწიფო დახმარებების მიმღები სხვა პირები წარმოადგენენ, რომელთა ძირითადი დანიშნულება მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, მათი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფაა. ამასთან, მოსახლეობის ამ ნაწილს სწორედ სახელმწიფო დახმარებებით უწევს სესხის დაფარვა. ხოლო, საპროცენტო განაკვეთის დადგენილი ოდენობის შედეგად (30.69%), ბანკისთვის უკან გადასახდელი თანხა, საბოლოოდ, სესხის სახით მიღებულ პირვანდელ თანხას დაახლოებით 75%-ით აღემატება.

[54] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/mrym388y

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები პენიტენციურ დაწესებულებაში

- 2016 წლის 12 თებერვალს, სახალხო დამცველმა დაადგინა[55] არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა პენიტენციური დეპარტამენტის N19 დაწესებულებაში მოთავსებული სამი პატიმრის მიმართ, რომლებიც იყვნენ ტუბერკულოზით დაავადებულნი და დაწესებულების მიერ აღქმულნი იყვნენ როგორც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის პირები და განთავსებულნი იყვნენ განცალკევებით მდგარ სამეურნეო ნაწილის შენობაში, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობას. კერძოდ, არც ერთი მათგანის საკანს არ ჰქონდა სათანადო ფანჯრები და არ შემოდიოდა დღის შუქი, საკნები იყო არაჰიგიენური და ტექნიკური გაუმართავობის გამო საცხოვრებლად საშიში. სამივე საკანში იყო ანტისანიტარია, ადგილზე დათვალიერებისას შეინიშნებოდა ტარაკნები და სხვა მწერები, არ იყო უზრუნველყოფილი გათბობა და სველი წერტილი იყო უკიდურესად მოუწესრიგებელი.

  აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ რეკომენდაციის გაცემიდან მალევე ციხის ადმინისტრაციამ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები და გამოასწორა პატიმართა საცხოვრებელი პირობები

- 2020 წლის 7 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან, ტრანსგენდერი პატიმრის მიმართ, დისკრიმინაცია დაადგინა[56]. პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ტრანსგენდერ პირს, რომელსაც სქესის ტრანზიციის პროცესში ჰორმონული მედიკამენტებით უზრუნველყოფა ესაჭიროებოდა, პენიტენციურმა დაწესებულებამ უარი განუცხადა მედიკამენტების მიწოდებაზე. მას უარი ენდოკრინოლოგის მომსახურებით სარგებლობაზეც ეთქვა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მედიკამენტებსა და ენდოკრინოლოგის მომსახურებაზე უარის თქმით განმცხადებლის სპეციფიკური მახასიათებლების იგნორირება მოხდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს მოუწოდა გაეტარებინა სათანადო ღონისძიებები განმცხადებლისთვის როგორც სპეციალიზებული ენდოკრინოლოგის მომსახურებით, ასევე ჰორმონალური მედიკამენტების შეუფერხებლად და უწყვეტად მიწოდების უზრუნველსაყოფად.

  აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ რეკომენდაციის გაცემიდან განმცხადებელმა შეძლო ენდოკრინოლოგის კონსულტაციისა და ჰორმონალური მედიკამენტების მიღება.

---

[55] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/4ccmmhz9
[56] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/44dw5rs3

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

- სახალხო დამცველმა 2015-2017 წლებში, მომართვის თუ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, შეისწავლა 50-ზე მეტი ფაქტი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზებისა და სამართალდამცავთა მიერ სიძულვილის მოტივით მიყენებული სავარაუდო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევების შესახებ.

  2018 წლის 15 აგვისტოს, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, თანამშრომელთა გადამზადების და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ერთიანი სტატისტიკის წარმოების თაობაზე ზოგადი წინადადებით მიმართა[57] საქართველოს მთავარ პროკურორს და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

  ზოგად წინადადებაში სახალხო დამცველმა მიმოიხილა სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების სტანდარტი. ამასთან, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დანაშაულის გამოძიებისას სავარაუდო სიძულვილის გამოკვეთას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულების, არამედ ასევე მომავალში მსგავსი დანაშაულის პრევენციისთვის.

- 2019 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა ვიტალი საფაროვის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა[58] თბილისის სააპელაციო სასამართლოს. ვინაიდან საქმე შეეხებოდა სავარაუდო სიძულვილის მოტივს, სახალხო დამცველმა, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმმა, წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, სადაც საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე იმსჯელა სიძულვილის მოტივის ინდიკატორებზე და სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მნიშვნელობაზე.

  ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სახალხო დამცველმა მოუწოდა სააპელაციო სასამართლოს, შეაფასოს რამდენად იყო გამოკვეთილი სიძულვილის მოტივის ის ინდიკატორები, რაც დადგენილია საერთაშორისო სამართლით. კერძოდ, რამდენად მართებულად შეფასდა ბრალდებულების იდეოლოგიის და მათ მიერ გამოყენებული სიმბოლიკის მნიშვნელობა, ასევე, სიძულვილის მოტივის

[57] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/n75nzun9
[58] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/248ntvbr

განსაზღვრისას, რა მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოთქმულ სიტყვებს.

თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული აქტივობები

სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს, რისთვისაც ამ წლების მანძილზე დეპარტამენტმა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა.

საგანმანათლებლო საქმიანობა

- საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა **400-მდე საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი** ჩაატარა და **ჯამში 6500 პირს** თანასწორობის საკითხებზე ცოდნა აუმაღლა. სამიზნე აუდიტორია მოიცავდა როგორც საჯარო მოხელეებს, ისე კერძო კომპანიების, პროფესიული კავშირებისა და სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა[59]. საინფორმაციო შეხვედრები განსაკუთრებით აქტიურად რეგიონებში ტარდებოდა, რისთვისაც დეპარტამენტის წარმომადგენლები მთელი ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტებსა და სოფლებს, ყოველწლიურად, ხშირად სტუმრობდნენ;
- ბოლო წლები განსაკუთრებით აქტიური იყო **კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით.** არა ერთმა კერძო კომპანიამ თავად გამოთქვა სურვილი, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტების წარმომადგენლები თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად მიეწვია;
- სახალხო დამცველის აპარატი ბოლო ხუთი წელია აქტიურად ერთვება ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ **თანასწორობის კვირეულში,** რომლის ფარგლებშიც **12 საინფორმაციო შეხვედრა** გაიმართა თბილისისა და საქართველოს 9 რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან.

პუბლიკაციები და ანგარიშები

- 2014 წლიდან სახალხო დამცველი ყოველწლიურად ამზადებს სპეციალურ ანგარიშს **„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“**. 2024 წლის მდგომარეობით, სახალხო დამცველმა 9 სპეციალური ანგარიში მოამზადა და საზოგადოებას ყოველწლიურად გამოკვეთილ დისკრიმინაციულ პრაქტიკებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა[60];
- 2021 წელს სახალხო დამცველმა მოამზადა სპეციალური ანგარიში - **„თვითმმართველი ორგანოების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისობა**

[59] დეტალური ინფორმაცია შეხვედრებთან დაკავშირებით, წლების მიხედვით, ასახულია „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშებში. იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/2zfdaezd

[60] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/2zfdaezd

თანასწორობის პრინციპთან“, რომელშიც მუნიციპალური პროგრამების ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა არის გაანალიზებული[61];

- 2021 წელს სახალხო დამცველმა კიდევ ერთი სპეციალური ანგარიში შეიმუშავა - **„სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ“.**[62] ანგარიშში შეფასებულია 2015-2020 წლებში, მათ შორის, იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ+ თემის წევრების წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობა. ანგარიში, ასევე, მიმოიხილავს ბოლო წლებში ლგბტ+ თემის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევის ფაქტებს;
- 2023 წლის ბოლოს მომზადდა სპეციალური ანგარიში - **„სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“**. ანგარიშში შესწავლილი და გაანალიზებულია საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (დადგენილებები).[63]
- სექსუალური შევიწროების საკითხზე სახალხო დამცველმა, ასევე, მოამზადა **„პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ“**, სადაც თავმოყრილია სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები და მიზნად ისახავს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს სექსუალური შევიწროების სპეციფიკის აღქმაში დაეხმაროს[64].

ელექტრონული კურსები და ვიდეორგოლები

დეპარტამენტის წარმოებაში არსებული განცხადებების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემთხვევები, რომლებიც სახალხო დამცველის მხრიდან არა მხოლოდ სამართლებრივ რეაგირებას, არამედ საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციას საჭიროებდა. ამ მიზნით მომზადდა რამდენიმე ვიდეორგოლი და ტელევიზიისა და ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდა:

- **ორი ვიდეორგოლი** დისკრიმინაციის არსთან და სახალხო დამცველის მანდატთან დაკავშირებით მომზადდა. ვიდეორგოლებში ახსნილია, თუ რა ნიშნით არის დისკრიმინაცია აკრძალული და როგორ შეუძლიათ დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლებს სახალხო დამცველს მომართონ[65];
- თანასწორობის მნიშვნელობის კარგად გააზრების მიზნით სახალხო დამცველმა დისკრიმინაციასთან დაკავშირებით **კიდევ ერთი ვიდეორგოლი** მოამზადა, სადაც

---

[61] პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/nh8u9m44

[62] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/bdzcsk2f

[63] იხ. ვებგვერდი: https://ombudsman.ge/geo/190308041856angarishebi/kvleva-seksualuri-shevitsroeba-sajaro-sivrtseshi

[64] პრაქტიკული სახელმძღვანელო გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მომზადდა. იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/dnv64t9r

[65] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/ykkjd7d3; https://tinyurl.com/7fju7xet

პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით განმარტებულია, თუ რას ნიშნავს დისკრიმინაცია[66];

- **მეოთხე ვიდეორგოლი** სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას დაეთმო, თუ რა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება შეუძლია სექსუალური შევიწროების მსხვერპლს და რა მტკიცებულებების წარდგენა არის საჭირო[67];
- **მეხუთე ვიდეორგოლი** სახალხო დამცველმა გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით მოამზადა. ვიდეორგოლში განმარტებულია, რომ ნივთების სქესის მიხედვით დაყოფა დისკრიმინაციულია[68];
- **კიდევ ერთი ვიდეორგოლი** მომზადდა აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანების ქცევის თავისებურებაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ვიდეორგოლში ასახულია აუტიზმის მქონე ბავშვისა და მისი მშობლის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა.

გარდა საინფორმაციო ვიდეორგოლებისა, სახალხო დამცველმა **2 საგანმანათლებლო კურსიც** მოამზადა:

- 2021 წელს მომზადდა ელექტრონული კურსი **„სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის“.** კურსი საჯარო სივრცესა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა და მასში თავმოყრილია ადამიანის უფლებების სამართლებრივ სტანდარტები, რომლებიც მსოფლიოში სექსუალური შევიწროების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება. აღნიშნული კურსი სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი[69].2024 წლის 30 აპრილის მონაცემებით, მასზე 20 083 პირი დარეგისტრირდა.
- მეორე ელექტრონული კურსი - **„ძირითადი საკითხები თანასწორობის უფლების შესახებ“,** 2022 წელს შემუშავდა. კურსი მიზნად ისახავს თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საბაზო საკითხებისა და თანასწორობის უზრუნველყოფაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების როლის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩეული თუ დასაქმებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის, დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გამოვლენასა და თავიდან არიდებაში დახმარებას. აღნიშნული ელექტრონული კურსიც სახალხო დამცველის ვებგვერდზე არის ხელმისაწვდომი[70]. 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, მასზე 1025 პირი დარეგისტრირდა.

---

[66] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/mpkeru2k

[67] იხ. https://tinyurl.com/mtd7c5fx

[68] იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/mwmazxan

[69] აღნიშნული ელექტრონული კურსი საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. იხ. ვებგვერდი: https://tinyurl.com/dca7au37

[70] აღნიშნული ელექტრონული კურსი ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით მომზადდა. იხ. ვებგვერდი: http://tanastsoroba.ombudsman.ge/signin

საინფორმაციო კამპანიები

- თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიზნით, სახალხო დამცველმა 2017 წელს საინფორმაციო კამპანია დაიწყო - „თანასწორობა ჩვენს გარშემო". კამპანიის ფარგლებში ქუჩებსა და მეტროებში საინფორმაციო ბანერები განთავსდა, ასევე, ჩატარდა ფოტოკონკურსი[71]. კონკურსში მონაწილეობა 23 ადამიანმა მიიღო. კონკურსში მონაწილე 19 საუკეთესო ფოტო ღონისძიებისთვის დაიბეჭდა და დაჯილდოების ცერემონიაზე გამოიფინა. ფოტოების თემატიკა შეესაბამებოდა - ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის იდეას, მათ შორის, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გამოწვევებს, საზოგადოებაში გენდერული ნიშნით დამკვიდრებული სტერეოტიპების, გენდერული კლიშეების და დისკრიმინაციის პრობლემას, უმცირესობათა (ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური) წარმომადგენლების უფლებრივ მდგომარეობას და სხვა თანასწორობისა თუ უთანასწორობის ამსახველ იდეებს;
- 2023 წლის ნოემბერში სახალხო დამცველმა **სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების სამთვიანი კამპანია** დაიწყო[72], რომლის ფარგლებშიც საინფორმაციო პოსტერები განთავსდა თბილისის მეტროს ყველა ვაგონში და ექვს ბაქანზე. კამპანიის მთავარ მიზანს სექსუალური შევიწროების შესახებ საზოგადოების ცოდნის ამაღლება და ინფორმირებულობა წარმოადგენს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ დაიცვან საკუთარი უფლებები, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევაში.

თანასწორობის უფლება და გამოწვევები

თანასწორობის უფლების არასათანადო რეალიზება განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც წლების განმავლობაში ბევრ ხარვეზს შეიცავდა თანასწორობის უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ბაზა და არ ხდებოდა არსებული ნორმების პრაქტიკული გამოყენება. სწორედ ამიტომ, 2013 წელს, საქართველოში ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა, თომას ჰამერბერგმა გარდამავალ პერიოდში საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა დაასახელა[73]. აგრეთვე, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ძირითადი უფლებების თავში ექსპლიციტურად მხოლოდ სრულყოფილი ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღება იყო მითითებული[74].

---

[71] კამპანია ევროკავშირის პროექტის „ბრძოლა დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ საქართველოში" მხარდაჭერით ჩატარდა

[72] საინფორმაციო კამპანია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა

[73] Assessment and recommendations by Thomas Hammarberg in his capacity as EU Special Adviser on Constitutional and Legal Reform and Human Rights in Georgia, Georgia in Transition, Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges, 2013, 23

[74] EU-Georgia Visa Dialogue, Action Plan on Visa Liberalisation, § 2.4.3

საკითხის აქტუალობას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი[75], რის მიზეზადაც ოფიციალურად დასახელდა არსებული ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის არაეფექტურობა, დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის თანასწორობის დარღვეული უფლების აღდგენისა და შესაბამისი რეპარაციის მიღების შეუძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ ანტი-დისკრიმინაციული კანონისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიების მიღებიდან 10 წელი გადის და არაერთხელ განხორციელდა ზემოხსენებული სტრატეგიების, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმების, სახალხო დამცველისა და ეროვნული სასამართლოების მიერ კანონის იმპლემენტაციის ფარგლებში დადგენილი პრაქტიკების, განმარტებების, გამოკვეთილი გარემოებების მეტ-ნაკლებად კომპლექსური და სისტემური ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ანტი-დისკრიმინაციული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ეფექტური შეფასება.

საკანონმდებლო გარანტიების შექმნის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის მიუხედავად, თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ, საქართველოში მრავალი გამოწვევაა. თანასწორობის მიღწევის მიმართულებით პროგრესისთვის სახელმწიფოს ერთიანი ხედვის არსებობაა გადამწყვეტი. აქედან გამომდინარე, უთანასწორობის სისტემურ პრაქტიკებთან ბრძოლის ნაცვლად, დღის წესრიგში, ძირითადად, კვლავ დისკრიმინაციის ინდივიდუალური შემთხვევების აღმოფხვრის აუცილებლობა დგება.

გასული წლების მსგავსად, ლგბტ+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა ისევ გამოწვევად რჩება. ლგბტ+ თემის წევრები კვლავ ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლები არიან და ეს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებით და სხვა სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით არის გამოწვეული. ლგბტ+ პირთა და მათი მხარდამჭერების მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა, წლიდან წლამდე, არსებითად რთულდება. ეს დაკავშირებულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან როგორც საჯარო სივრცეში, ასევე დახურული ღონისძიების ფარგლებში, კერძო საკუთრების ტერიტორიაზე, ამ უფლებების რეალიზებისთვის ძალადობრივი ქმედებებით ხელშეშლასთან[76] და სახელმწიფოს პასიურ საპასუხო ქმედებებთან, რასაც ადასტურებს, განსაკუთრებით, 2021 წლის 5 ივლისსა და 2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ფესტივალების ირგვლივ განვითარებული მოვლენები[77].

---

[75] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, 2014 წ., 2 მაისი

[76] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2023 წ., გვ. 184-185

[77] იქვე, გვ. 185

მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგამოძიებო ორგანოების მიერ სიძულვილის მოტივის გაუთვალისწინებლობა დანაშაულების გამოძიებისას. უდავოა, რომ ეს იქნებოდა ყველაზე ეფექტიანი შემაკავებელი ფაქტორი რელიგიური, ეთნიკური, თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ.

საქართველომ, 2013 წლის დეკემბერში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის (CRPD) რატიფიკაცია მოახდინა და იგი ძალაში 2014 წლის აპრილში შევიდა. ამავდროულად, 2014 წლის ოქტომბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფოს მხრიდან დასახელდა კონვენციის მონიტორინგის მექანიზმად კონვენციის 33.2 მუხლის შესაბამისად. მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის ფუნქციის განსახორციელებლად, 2015 წელს, აპარატში შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცალკე დეპარტამენტი, ასევე მოხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება; ხოლო, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ[78]“.

ბოლო წლებში, შიდა კანონმდებლობის კონვენციასთან ჰარმონიზების მიზნით გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად, პრაქტიკაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისათვის კვლავ დიდი სამუშაოა გასაწევი. განსაკუთრებით საგულისხმოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა. გარდა ამისა, **დღემდე არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და ასევე, სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე.** გარდა ამისა, პრობლემურია სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორის რჩება ამ პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება, ასევე ქმედუნარიანობის რეფორმის პრაქტიკაში განხორციელება.

ეროვნული უმცირესობების უფლებების სათანადო დაცვა საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები სათანადოდ ვერ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ პრობლემებს, რის შედეგადაც, არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები კვლავ მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგანან. განსაკუთრებით აქტუალურად იკვეთება პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული

[78] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, 2020 წლის 14 ივლისი

წინსვლის სქემის“ ფარგლებში, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სირთულე. ეს საკითხი კომპლექსური ხასიათისაა და არაერთი მიზეზით არის გამოწვეული[79].

დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: რელიგიური ნიშნით ჩადენილი სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, სალოცავი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხები და სხვ.

ქალთა თანასწორუფლებიანობის მიმართულებით, გასულ წლებში, როგორც საკანონმდებლო გარანტიების შექმნის, ისე ცნობიერების ამაღლების კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორუფლებიანობის მიღწევა კვლავ სერიოზული გამოწვევაა. ქალები კვლავ მომართავენ სახალხო დამცველის აპარატს სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ. კვლავ პრობლემურია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსიზმი და სქესის ნიშნით ექსპლიციტურად დამამცირებელი ენის გამოყენება. ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია 2024 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერული კვოტირების გაუქმება, რაც სახალხო დამცველის მიერ უარყოფითად შეფასდა[80].

კვლავ გამოწვევად რჩება დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობაში. სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები იმ დავების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის შესახებაც მოქალაქეები სახალხო დამცველის აპარატს ყველაზე ხშირად მომართავენ. განმცხადებლები დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად ძირითადად განსხვავებულ მოსაზრებას, პოლიტიკურ შეხედულებას და პროფკავშირის წევრობის ნიშანს მიუთითებენ.

სახალხო დამცველის მიერ არაერთი მიმართულებით გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჰომო/ტრანსფობიური განცხადებების გაკეთება, სიძულვილის ენის გამოყენება და მედიაში დისკრიმინაციის წახალისება, კვლავ გამოწვევაა. საზოგადოებაში მყარად არის გამჯდარი სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველი დამოკიდებულებები ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ლგბტ+ თემის წევრების მიმართ. შესაბამისად, სექსისტური, ჰომო/ტრანსფობიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის წამახალისებელი საჯარო გამოხატვა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს უარყოფით დამოკიდებულებებს დაუცველი ჯგუფების მიმართ, რის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა.

---

[79] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2023 წ., გვ. 533-534

[80] სახალხო დამცველის განცხადება გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, 2024 წლის 2 აპრილი

თანასწორობის მექანიზმის გამოწვევები

როგორც აღინიშნა, თანასწორობის მექანიზმის არსებობის ათწლიან ციკლში, ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო როგორც პროცესუალურ, ასევე მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია სამართლებრივად შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შესრულება მოპასუხის ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, აღნიშნულის საპირწონედ, სახალხო დამცველს გააჩნია საერთო სასამართლოების გამოყენებით აღსრულების უზრუნველყოფის გარკვეული ბერკეტი, კერძოდ, იგი უფლებამოსილია, მისი რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით, საჯარო უწყებების მსგავსად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების წინააღმდეგაც მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მოპასუხეთათვის რეკომენდაციის აღსრულების დავალება. თუმცა, იგი ეფექტიანი პროცესუალური ბერკეტი არ არის, ვინაიდან, სასამართლო შესაძლოა არ ეთანხმებოდეს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და უფლება აქვს არ დაავალოს მოპასუხეს/დისკრიმინაციის ჩამდენს მისი აღსრულება. ასევე საგულისხმოა საჯარო უწყებების და კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან თანასწორობის მექანიზმის მიერ გაცემული რეკომენდაციების და ზოგადი წინადადებების გაზიარების მხრივ, და ასევე, თანასწორობის მისაღწევად აუცილებელი შემხვედრი ნაბიჯების გადასადგმელად ნაკლები მზაობა.

შეჯამება

ნიშანდობლივია, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ცალსახად აუმჯობესებს საქართველოში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ გარანტიებს. თუმცა, ქვეყანაში არსებული სისტემური პოლიტიკური, სოციალური და ინსტიტუციური გამოწვევები ართულებს საზოგადოებაში არსებითი თუ ტრანსფორმაციული თანასწორობის მიღწევას.

მათ შორის, უმთავრესია, აღინიშნოს სისტემური პოლიტიკის არარსებობა, რომელიც სოციალური ჯგუფების გარიყულობისა და საჭიროებების, არსებული პოლიტიკის ხარვეზების ფუნდამენტურ კვლევას დაეფუძნებოდა. მნიშვნელოვანია მთავრობას გააჩნდეს ერთიანი ხედვა, რომლის ფარგლებშიც მკაფიოდ გამოვლინდება სახელმწიფოს პოლიტიკური ნება ხელი შეუწყოს თანასწორი საზოგადოების მშენებლობას.

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ანტი-დისკრიმინაციული კანონი სახალხო დამცველს ავალებს ცნობიერების ამაღლებას თანასწორობის საკითხებზე, რასაც თანასწორობის მექანიზმის შექმნიდან დღემდე სისტემატიურად ახორციელებს; თუმცა,

როგორც თანასწორუფლებიანობის მიმართულებით საზოგადოებაში არსებული გამოწვევები აჩვენებს, კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოა შესასრულებელი ამ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეთა ფართო სპექტრის მიერ.